ვებ-გვერდზე www.pashabank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.pashabank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, შეიცვალოს ხელშეკრულების **5^1.2.Google Wallet-ით მომსახურება**, **5^1.2**. პუნქტის და მისი ქვეპუნქტები განისაზღვროს შემდეგი შინაარსით:

„5^1.2.Google Wallet-ით მომსახურება

5^1.2.1. წინამდებარე თავი არეგულირებს კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ, ბანკის ემიტირებული ბარათების Google Wallet-ში დამატების და დამატებული ბარათებით ანგარიშსწორების შესახებ წესებსა და პირობებს.

5^1.2.2 წინამდებარე თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

5^1.2.2.1 Google - ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული იურიდიული პირი (Google LLC, www.google.com), რომელიც ახდენს სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობის ტექნიკურ მხარდაჭერას და რომლის გამოყენებითაც, კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს Google Wallet-ით და აწარმოოს ბარათით ანგარიშსწორება.

5^1.2.2.2 Google Pay /Google Wallet / ელექტრონული საფულე - მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი/აპლიკაცია, რომელიც შექმნილია Google-ის მიერ და ინტეგრირებულია Android-ის მოწყობილობებში. Google Pay / Google Wallet, მასში დამატებული ბარათების გამოყენებით, საშუალებას აძლევს მომხმარებელს განახორციელოს უკონტაქტო გადახდები ან გაანაღდოს თანხა ბანკომატიდან (თუ ბანკომატს აქვს უკონტაქტო გადახდის მხარდაჭერა).

5^1.2.2.3 Google მოწყობილობა/მოწყობილობა- Google-ის მიერ წარმოებული მოწყობილობები ან/და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა, რომელშიც ინტეგრირებულია Google Pay/Google Wallet ან/და შესაძლებელია მათი ჩაწერა.

5^1.2.2.4 ავთენტიფიკაცია - პროცესი, რომელიც საჭიროებს კლიენტის მიერ ავთენტიფიკაციის მონაცემების გამოყენებას იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს Google Wallet-ში დამატებული ბარათით ანგარიშსწორება.

5^1.2.2.5 ავთენტიფიკაციის მონაცემები - კლიენტის თითის ანაბეჭდი (Touch ID), სახის გამოსახულება (Face ID) ან პასკოდი (Passcode), რომელთაგან ერთ-ერთის გამოყენება აუცილებელია Google Wallet-ით სარგებლობისას ტრანზაქციის განხორციელებისათვის და რომელთა შეყვანაც, კლიენტს ან დამატებითი ბარათის მფლობელს მოეთხოვება თითოეული ტრანზაქციის განხორციელებამდე. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ითვალისწინებს, რომ ამ მონაცემებზე წვდომა ბანკს არ გააჩნია, ამასთან, კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ავთენტიფიკაციის მონაცემების შეყვანა/გამოყენება განიხილება, როგორც გადახდის ოპერაციის დადასტურება. გადახდის ოპერაციის დადასტურებად (მათ შორის კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ გადახდად ან განაღდების ოპერაციად) განიხილება ასევე ის მონაცემებიც, რომლებიც მოწყობილობაში დამატებულია როგორც ავთენტიფიკაციის მონაცემები, მაგრამ არ ეკუთვნის კლიენტს ან დამატებითი ბარათის მფლობელს.

5^1.2.3 Google Wallet-ში ბარათის დამატების წესები და პირობები

5[1].2.3.1 კლიენტი ან დამატებითი ბარათის მფლობელი, უფლებამოსილია ჩართოს/დაამატოს მისი ბარათი მის კუთვნილ Google მოწყობილობაში ან/და იმ მოწყობილობაში, რომელსაც აქვს Google Pay/Google Wallet-ის მხარდაჭერა, იმ პირობით, თუ:

5[1].2.3.1.1 კლიენტი ან დამატებითი ბარათის მფლობელი ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია სათანადო წესით;

5[1].2.3.1.2 ბარათზე ან/და საბარათე ანგარიშზე, რომლის დამატებაც ხდება Google Wallet-ში, არ არის რეგისტრირებული რაიმე ტიპის შეზღუდვა, რაც ხელს შეუშლიდა ელექტრონული საფულით გადახდების განხორციელებას ან/და თანხის განაღდებას;

5[1].2.3.2 Google Wallet-ში ბარათის დამატებისას კლიენტი ან დამატებითი ბარათის მფლობელი გადის ვერიფიკაციას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთის გამოყენებით, კერძოდ:

5[1].2.3.2.1 ბარათის ელექტრონულ საფულეში დამატება შესაძლებელია ვერიფიკაციის ერთჯერადი კოდის გამოყენებით, რომელიც კლიენტს ან დამატებით ბარათის მფლობელს მიეწოდება ბანკში რეგისტრირებულ მობილურის ნომერზე და რომელიც, ბარათის ელექტრონულ საფულეში დამატებისას უნდა შეიყვანოს კლიენტმა ან დამატებითი ბარათის მფლობელმა;

5[1].2.3.2.2 ბარათის ელექტრონულ საფულეში დამატება შესაძლებელია ბანკის კონტაქტ ცენტრის დახმარებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სათანადო წესით გაივლის ვერიფიკაციის დადგენილ პროცედურას;

5[1].2.3.3 მას შემდეგ რაც კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი Google Wallet-ში წარმატებით დაამატებს ბარათს/დამატებით ბარათს - იგი უფლებამოსილი იქნება საბარათე ანგარიშების გამოყენებით განახორციელოს ტრანზაქციები. Google Wallet-ში დამატებული ბარათის გამოყენებით შესაძლებელია, უკონტაქტო ტრანზაქციების განხორციელება, კერძოდ:

5[1].2.3.3.1 უკონტაქტო გადახდა შეიძლება განხორციელდეს ავთენტიფიკაციის ერთ-ერთი მონაცემის გამოყენებით და Google მოწყობილობის ან/და იმ მოწყობილობის, რომელსაც Google Pay/Google Wallet-ის მხარდაჭერა აქვს, უკონტაქტო გადახდის ტერმინალთან განთავსებით. უკონტაქტო გადახდა, ერთ-ერთი ავთენტიფიკაციის მონაცემის გამოყენებით, შეიძლება განხორციელდეს ასევე - ისეთი აპლიკაციებში და ვებგვერდებზე, სადაც გამოსახულია Google Pay-ს ლოგო. დამატებით, კლიენტი ითვალისწინებს, რომ Google Wallet-ით ანგარიშსწორებისას არ მოითხოვება ბარათის პინ-კოდი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ტერმინალის კონფიგურაციამ შეიძლება მოითხოვოს პინ-კოდის გამოყენება

5[1].2.3.3.2 Google Wallet-ის და ერთ-ერთი ავთენტიფიკაციის მონაცემის გამოყენებით, შესაძლებელია თანხის განაღდება Google-ის მოწყობილობის ან/და იმ მოწყობილობის, რომელსაც Google Pay/Google Wallet-ის მხარდაჭერა აქვს, ბანკომატთან განთავსებით (თუ ბანკომატს გააჩნია უკონტაქტო გადახდის ფუნქციონალი) და ბარათის პინ კოდის შეყვანით.

5[1].2.3.4 დასაშვებია ერთ მოწყობილობაში რამდენიმე სხვადასხვა ბარათის დამატება, ასევე, დასაშვებია სხვადასხვა მოწყობილობაში ერთი და იგივე ბარათის დამატება. ამასთან, კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ითვალისწინებს, რომ როგორც ბანკი, ასევე, Google, უფლებამოსილია შეზღუდოს როგორც ერთ მოწყობილობაში დასამატებელი ბარათების რაოდენობა, ასევე, იმ მოწყობილობების რაოდენობა, რომლებშიც შესაძლებელია ერთი და იგივე ბარათის დამატება. Google-ის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს და სხვა საჭირო ინფორმაციას კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი შეიძლება გაეცნოს ვებ-გვერდზე - https://support.google.com/googlepay/?hl=en#topic=12369512, ხოლო ბანკის მიერ დაწესებული შეზღუდვების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის ვებ-გვერდზე - www.pashabank.ge ან ბანკის კონტაქტ ცენტრში ნომერზე - (+995 32) 222 25 25.

5[1].2.3.5 კლიენტი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია ბარათის Google Wallet-დან წაშლა. ასევე, შესაძლებელია Google Wallet-ში დამატებული ციფრული ბარათის (DPAN) დაბლოკვა, ისე, რომ არ

დაიბლოკოს ფიზიკური ბარათი (FPAN) (არ დაიბლოკოს Google Wallet-ის მიღმა გადახდების შესაძლებლობა), რისთვისაც, კლიენტს შეუძლია მიმართოს ბანკის ფილიალებს ან/და დაუკავშირდეს ბანკის კონტაქტ ცენტრს ნომერზე - (+995 32) 222 25 25.

5[1].2.3.6 კლიენტი ითვალისწინებს, რომ Google Wallet-ში შესაძლებელია მხოლოდ Google Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება. ამასთან, Google Wallet-ით სარგებლობისას კლიენტი ვერ ნახავს მისი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ სრულ ინფორმაციას და საბარათე ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ დეტალური ინფორმაცია კლიენტს შეუძლია იხილოს მობაილ და ინტერნეტ ბანკში (მისამართი - www.pashaonline.ge) ამონაწერის მისაღებად მიმართოს ბანკის ფილიალებს ან/და დაუკავშირდეს ბანკის კონტაქტ ცენტრს ნომერზე - (+995 32) 222 25 25.

5[1].2.3.7 კლიენტი ითვალისწინებს, რომ Google Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ შეიძლება მიიღოს, როგორც თავად Google Wallet-ის მიერ გენერირებული ავტომატური შეტყობინებები (ე.წ. push notifications), ასევე, ბანკის შეტყობინებები.

5[1].2.4 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5[1].2.4.1 კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი, ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას ბანკის და Google-ის მიერ შემუშავებული Google Wallet-ით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები, აგრეთვე, არ დაუშვას მოწყობილობის პასკოდის მესამე პირებისათვის გადაცემა ან/და მოწყობილობაში მესამე პირის მონაცემების - ავთენტიფიკაციის მონაცემებად დამატება და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ წაშალოს დამატებული მონაცემები ან/და შეცვალოს პასკოდი/პაროლი. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, კლიენტი და დამატებითი ბარათის მფლობელი - დამატებით ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი მესამე პირი შეძლებს მათი Google Wallet-ით გადახდების განხორციელებას, თუ აღნიშნულ პირს აქვს იმ მოწყობილობასთან წვდომა, რომელსაც აქვს Google Pay/Google Wallet-ის მხარდაჭერა, მოეპოვება პასკოდი ან/და თუ მისი მონაცემებიც (Touch ID/Face ID) დამატებულია მოწყობილობაში, როგორც ავთენტიფიკაციის მონაცემები. მესამე პირისათვის პასკოდის/პაროლის გაზიარებამ ან/და მესამე პირის მონაცემების ავთენტიფიკაციის მონაცემებად დამატებამ - შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბარათის მფლობელს.

5[1].2.4.2 Google Wallet-ში ბარათის დამატებისას, კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

5[1].2.4.2.1 ელექტრონული საფულის გამოყენებისას ანგარიშსწორება შესაძლებელი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ბარათის მფლობელის (იმ პირის, რომლის სახელზეც ბანკში რეგისტრირებულია ბარათი) ავთენტიფიკაციის მონაცემების გამოყენებით;

5[1].2.4.2.2 მოწყობილობა ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელისთვის;

5[1].2.4.2.3 პაროლი (პასკოდი), რომლითაც შესაძლებელია მოწყობილობაზე წვდომა და შემდგომში, ელექტრონული საფულით ანგარიშსწორება:

5[1].2.4.2.3.1 არ გაუზიაროს ან/და რაიმე სხვა ფორმით არ გახადოს მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი;

5[1].2.4.2.3.2 შეინახოს კონფიდენციალურად;

5[1].2.4.2.3.3 უნდა იყოს კომპლექსური, რომლის გამოცნობა ან/და გამოთვლა რთული ან/და შეუძლებელი იქნება;

5[1].2.4.2.4 მოწყობილობა არ დატოვოს უყურადღებოდ, მათ შორის, არ დატოვოს გახსნილ მდგომარეობაში (unlocked);

5[1].2.4.3 კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია:

5^1.2.4.3.1 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს Google მოწყობილების ან/და იმ მოწყობილობის, რომელსაც Google Pay/Google Wallet-ის მხარდაჭერა აქვს, დაკარგვის ან/და მოპარვის შესახებ;

5^1.2.4.3.2 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ეჭვის წარმოშობის შესახებ, თუ მომხმარებელი თვლის, რომ მოხდა მის მოწყობილობაზე ან/და ელექტრონულ მოწყობილობაში შეყვანილი ბარათის მონაცემებზე არაუფლებამოსილი პირის წვდომა.

5^1.2.4.3.3 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს Google მოწყობილობის მომსახურებაში განხორციელებული მოულოდნელი წყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოშობდეს ეჭვს;

5^1.2.4.3.4 Google Wallet-დან წაშალოს ბარათი და ბარათთან დაკავშირებული მონაცემები, თუ მესამე პირებს დროებით სარგებლობაში ან/და საკუთრებაში გადასცემს მოწყობილობას, რომელშიც დამატებულია ასეთი ბარათი.

5^1.2.4.4 კლიენტისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით/კლიენტის მოთხოვნით ან/და საკუთარი შეხედულებისამებრ (ბანკის წესებისა და პროცედურების შესაბამისად), ბარათით მომსახურების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ წესების და წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია/ვალდებულია დაბლოკოს ბარათი, დამატებითი ბარათი, საბარათე ანგარიში ან/და შეზღუდოს Google Wallet-ში დამატებული ბარათით ანგარიშსწორების შესაძლებლობა, თუ:

5^1.2.4.4.1 ბანკს აქვს გონივრული ეჭვი თაღლითობასთან დაკავშირებით, წარდგენილია კლიენტის მოთხოვნა ან/და კლიენტმა აცნობა ბანკს 5^1.2.4.3 პუნქტით დადგენილი ერთ-ერთი გარემოების შესახებ;

5^1.2.4.4.2 კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი, Google Wallet-ით სარგებლობისას დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და Google-ის მიერ განსაზღვრული წესებით დადგენილ რომელიმე მოთხოვნას/პირობას;

5^1.2.4.4.3 დაიბლოკება ბარათი/დამატებითი ბარათი ან/და საბარათე ანგარიში, შეჩერდება ბარათის/დამატებითი ბარათის მოქმედება ან/და ამოიწურება მათი მოქმედების ვადა;

5^1.2.4.4.4 წარდგენილია Google-ის ან/და შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მოთხოვნა;

5^1.2.4.4.5 შეწყდება ბანკსა და Google-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული საფულით მომსახურების შესახებ;

5^1.2.4.4.6 დადგება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

5^1.2.5 ინფორმაციის შეგროვება და უსაფრთხოება

5^1.2.5.1 კლიენტი ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ ბანკი უფლებამოსილია Google-ს გადასცეს კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის შესახებ ბანკში დაცული პირადი ინფორმაცია იმ მოცულობით, რაც აუცილებელია Google Wallet-ით სათანადო წესით სარგებლობისათვის, იმ პირობით, რომ დაცული იქნება გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა (გადასაცემი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს - ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციას, დროის, ადგილის, მოცულობის და სხვა დეტალების მითითებით, მომხმარებლის პირადი ინფორმაციას - სახელს, გვარს და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემებს და სხვა აუცილებელ ინფორმაციას, რაც საჭიროა სრულფასოვანი მომსახურების მისაწოდებლად). ბანკი, ასევე, უფლებამოსილია Google-სგან მიიღოს და დაამუშაოს ის მონაცემები, რომელზეც წვდომა აუცილებელია სრულფასოვანი მომსახურების გასაწევად და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად (ბანკის მიერ მისაღები ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს - მოწყობილობის ტექნიკურ მონაცემებს, წვდომის ფარგლებს, საკონტაქტო ინფორმაციას, ინტერნეტთან წვდომის ადგილმდებარეობას, IP მისამართს და სხვა ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია Google Pay/Google Wallet-ით სრულფასოვანი სარგებლობისთვის).

5^1.2.5.2 კლიენტი ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ ბანკი უფლებამოსილია შეაგროვოს და დაამუშაოს კლიენტის მოწყობილობასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის და არამხოლოდ, გამოყენებული აპლიკაციის, მოწყობილობის, მოწყობილობის მოდელის, მოწყობილობის ოპერაციული სისტემის, IP

მისამართის და ა.შ. შესახებ) სრულფასოვანი მომსახურების გაწევის (გადახდების სათანადო წესით წარმოება და სხვა), მონაცემთა დაკარგვის, თაღლითობისაგან ან/და სხვა ნებისმიერი რისკებისაგან კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის დაცვის მიზნებისათვის. ასევე, აღნიშნული მიზნებისათვის და სათანადო მოცულობით, ბანკი უფლებამოსილია ინფორმაცია გაცვალოს Google-თან, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

5[1].2.6 სხვა პირობები

5[1].2.6.1 კლიენტი ითვალისწინებს, რომ ბანკი არ არის პასუხისმგებელი Google მოწყობილობის, იმ მოწყობილობის, რომელსაც Google Pay/Google Wallet-ის მხარდაჭერა აქვს ან/და Google Wallet-ის არასათანადო ფუნქციონირებისათვის ან/და გაუმართაობისთვის და ბანკის ვალდებულებები შემოიფარგლება მხოლოდ Google-სთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, თუ აღნიშნული გაუმართაობა არ არის განპირობებული ბანკის მიზეზით;

5[1].2.6.2 ბანკი არ არის პასუხისმგებელი Google Wallet-ის გამოყენებით კლიენტისათვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე, თუ აღნიშნული კლიენტის არამართლზომიერი ქმედების, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ან/და Google-ის წესებისა და პირობების დარღვევის შედეგია.

5[1].2.6.3 Google Wallet-ში დამატებული ბარათით ანგარიშსწორებისას - ბანკმა შეიძლება დააწესოს დამატებითი საკომისიო(ები), ამასთან, კლიენტი ითვალისწინებს, რომ მომსახურების საკომისიო(ები) შეიძლება დაწესდეს კლიენტის მობილური ოპერატორების (sms შეტყობინების ღირებულება ან სხვა) ან/და თავად Google-ის მიერაც, რომელთა განსაზღვრაც ბანკის დამოუკიდებლად ხდება და ბანკი არ იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

5[1].2.6.4 კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ითვალისწინებს, რომ კონტექსტის შესაბამისად, Google-ის ელექტრონული საფულეში დამატებულ ბარათზე (საბარათე ანგარიშ(ებ)ზე) და Google Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე (მათ შორის, მისი გამოყენებით თანხის ბანკომატში განაღდებაზე) სრულად ვრცელდება ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესები და პირობები საბანკო ანგარიშით მომსახურების და ბარათით მომსახურების შესახებ. წინამდებარე თავით დადგენილ წესებსა და საბანკო ანგარიშით და ბარათით მომსახურების წესებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე თავით დადგენილ წესებს.

5[1].2.6.5 კლიენტი ითვალისწინებს, რომ იცნობს Google-ის მიერ დადგენილ წესებსა და პირობებს, ასევე, კონფიდენციალურობის დაცვის პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდებზე - https://payments.google.com/payments/apis-secure/get_legal_document?ldo=0&ldt=privacynotice&ldl=en-GB .

* Google და Google Pay, ასევე, Google-ის ნებისმიერი სხვა პროდუქტი, წარმოადგენს GOOGLE Inc.-ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს. Google-ის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე - https://about.google/brand-resource-center/trademark-list/.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაშია 2022 წლის 15 ნოემბრიდან.